# უნივერსიტეტი

1918

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№7 (86) 2018



## SMART ლაბორატორიები თსუ-ში



***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში ორი ლაბორატორია SMART AtmoSim და SMART EDM-Lab არსებობს. იულიხის სამეცნიერო ცენტრთან თანამშრომლობით შექმნილ ლაბორატორიებში თსუ სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური შანსი, თბილისშივე მიიღონ მონაწილეობა იულიხის ცენტრის კვლევებში.***

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფიზიკის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტი, ვანო ზურაბაშვილი SMART EDM-Lab-ში ჩატარებული ლაბორატორიული სამუშაოებისა და ლექციების შესახებ გვიყვება. მისი თქმით, ლაბორატორია მას და მის თანაკურსელებს თანამედროვე ექსპერიმენტული ფიზიკის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში ეხმარება.

თსუ სტუდენტები სწავლობენ ელექტრონიკას, პროგრამირებას, კომპიუტერულ ტექნიკას, მექანიკურ და პროგრამულ ინჟინერიას, მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს, ფიზიკური პროცესების მოდელირებას და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის გამოყენება-ათვისება ხდება კონკრეტულ აქტუალურ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობით.

*ვანო ზურაბაშვილი:*

„SMART EDM-Lab საკმაოდ მოწესრიგებული და მოსახერხებელია სამუშაოდ. ლაბორატორიის შესახებ პირველად, თსუ პროფესორის, ბატონ მირიან ტაბიძისგან გავიგე. იქ გვიტარდება

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## „დირსის ბაფხულის ქალაქი“ თსუ სტუდენტებისგან – „მისია 2018“-ის გამარჯვებული ცნობილია




***თსუ სტუდენტური კონკურსის – „მისია 2018“-ის გამარჯვებულები გუნდი „ერთის“ წევრები იურიდიული ფაკულტეტის, მესამე კურსის სტუდენტი, მარიამ წერეთელი და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მესამე კურსის სტუდენტები იოსებ ტაბიძე და გიორგი ბარბაქაძე გახდნენ. ფინალში გასული 5 გუნდი ჟიურის წინაშე პარტნიორი კომპანიის დავალებაზე – „დირსის ბაფხულის ქალაქი“, შესრულებული პრეზენტაციებით წარსდგა. ჟიურიმ სამი საუკეთესო გუნდი გამოავლინა: პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „ერთი“, მეორე ადგილზე – გუნდი „თსუჰოლიკი“, მესამე ადგილი კი გუნდმა „მედიატორმა“ დაიკავა.***

გამარჯვებულებს პარტნიორი კომპანიის „ას ჯორჯია დირსის“ მიერ დაწესებული კონკურსის საპრიზო ფონდი 5000 ლარი გადაუნაწილდათ. პირველ ადგილზე გასულმა გუნდმა 2500 ლარი მიიღო, ხოლო მეორე და მესამე ადგილზე გასულებმა შესაბამისად, 1500 და 1000 ლარი. ფინალური ეტაპის ყველა მონაწილეს კონკურსის სერტიფიკატები და ორგანიზატორების სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, კომპანია „ას ჯორჯია დირსის“ გენერალური დირექტორი ბესო ჯიქურაული და მოწვეული წევრები – Forbes Georgia-ს მთავარი რედაქტორი, გიორგი ისაკაძე, „ჯეოსელის“ კორპორაციული კომუნიკაციების ექსპერტი თაკო როდონაია,

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## უნივერსიტეტელები „ერაზმუს+“-ის პროგრამებში

„ერაზმუს“+ ერთ-ერთი იმ პროგრამათაგანია, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს საზღვარგარეთ სწავლისა და ტრენინგის საშუალება ეძლევათ. 2015 წლიდან ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მონაცემებით, თსუ 121 პროექტს უწევს ადმინისტრირებას. ამ პერიოდის განმავლობაში განხორციელდა 440 სტუდენტის, 91 აკადემიური პერსონალის, 85 ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლის მობილობა. ამ დროისათვის გაგაცნობთ სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე წარმომადგენელს, რომლებიც ბოლო პერიოდში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ პროგრამის ფარგლებში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი ანასტასია ზაქარიაძე თავის გამოცდილებას გვიზიარებს: „2018 წლის 4-11 მაისს, „ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის მიზნით, ვიმყოფებოდი ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ჩემი აკადემიური კვლევით-სამეცნიერო ინტერესის მთავარი სფეროდან (მორალის ფილოსოფია და გამოყენებითი ეთიკა) გამომდინარე ლექციებზე ვისაუბრე ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თანამედროვე ადამიანის ადგილი პოსტგლობალიზაციის პროცესში, ტრადიციული მორალური ღირებულებების, ტოლერანტობისა და კონფორმიზმის პრობლემები მულტიკულტურულ საზოგადოებაში, „Homo-economicus“ და თვითიდენტიფიკაცია, სხეულის კომერციალიზაციისა და სუროგაციის მორალური განზომილება და სხვ.

ამ მხრივ, რუმინეთის როგორც პოსტკომუნისტური სახელმწიფოს გამოცდილება, ჩემთვის

***გაგრძელება მე-2 გვ.***



## გზავნილი მომავალი ჟურნალისტებისგან...

სასწავლო წლის მიწურული ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისთვის განსაკუთრებით დატვირთული და საინტერესოა. თსუ VI კორპუსში სასწავლო აუდიტორიები რედაქციებად არის გადაქცეული. თსუ ნიუსრუმსა და მულტიმედიურ ცენტრში კი სტუდენტები გადაცემებისთვის სიუჟეტებს ამონტაჟებენ. თინათინ ლუხუტაშვილი სასწავლო კურს „ბეჭდური მედია 2-ის“ ფარგლებში გამოცემული ჟურნალის „გზავნილი სიღნაღიდან“ შესახებ გიამბობთ. მისი თქმით, ჟურნალზე მუშაობის ყველაზე საინტერესო ნაწილი სარედაქციო საქმიანობის განაწილებაა.

„სტუდენტები ვართ რედაქტორები, სტილისტ-კორექტორები, დამკაბადონებლები, ფოტორეპორტიორები. ფაქტობრივად, სრულფასოვანი რედაქცია ვართ, საქმეს ვინაწილებთ და მთელი სემესტრის განმავლობაში ისე ვმუშაობთ, როგორც ჩვენი „დიდი“ კოლეგები.

ყოველდღიურ გაზეთზე მუშაობა გულისხმობდა ერთ დღეში, დილის 10-დან საღამოს 8-მდე სრულფასოვანი, 16-გვერდიანი გაზეთის აწყობას. მთავარი სპეციფიკა კი ის იყო, რომ მასალა იმ დღეს დავწერეთ – შუადღის სამ საათამდე, შემდეგ სტილისტ-კორექტორებმა გაასწორეს და იმ დღესვე დავაკაბადონეთ. გაზეთის შექმნის დღე პრემიერის გადადგომას დაემთხვა და მართლა ჟურნალისტურად მოგვიწია მუშაობა – აწყობილი გაზეთი დავშალეთ ბრიფინგის შემდეგ. ამ ყველაფერს ვაკეთებთ „ბეჭდური მედია 2-ის“ ფარგლებში. საგანს ქალბატონი მაია ტორაძე კითხულობს და მესამეკურსელთა სავალდებულო საგანია უკვე 2018 წლიდან.

ახლა ვაკეთებთ ე.წ. „გზავნილების“ სერიის ჟურნალს. მუშაობის პრინციპი ასეთია – სემესტრის დასაწყისში ვირჩევთ პირველ სამუშაო რაიონს. ბევრი კრიტერიუმი გვაქვს ხოლმე: არქიტექტურული ძეგლები, ისტორია, ეკონომიკური ასპექტები, სოციალური ფონი, საინტერესო პიროვნებები რაიონში – ამ ყველაფრის გათვალისწინებით შევარჩიეთ ჩვენი პირველი ჟურნალის, „გზავნილი სიღნაღიდან“ ლოკაცია. ჩავედით სიღნაღში ერთი დღით და დილის 10-ზე ჩასულები

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## სტუდენტური ჟურნალი თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე – ავტორები 2 წლის შედეგებს აჯამებენ




2016 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის ახალი სტუდენტური ჟურნალი – „თსუ სამართლის მიმოხილვა“ დაფუძნდა. ჟურნალის დაარსებიდან უკვე 2 წელი გავიდა. როგორც იდეის ავტორი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, მარიკა დუმბაძე იხსენებს, საინიციატივო ჯგუფის მიზანი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე მყოფი სტუდენტებისათვის სამართლის სხვადასხვა სფეროში არსებულ პრობლემური საკითხების შესახებ სტატიების მომზადება და გამოქვეყნება იყო. თვლიან, რომ მიზანი მიღწეულია, თუმცა წინ დიდი გეგმები აქვთ.

„თსუ სამართლის მიმოხილვის“ გარდა, იურიდიულ ფაკულტეტზე არსებობს მეორე ჟურნალიც „კერძო სამართლის მიმოხილვა“, რომლის გამოცემასაც სათავეში სტუდენტებთან ერთად თსუ პროფესორი ბესარიონ ზოიძე უდგას. მარიკა დუმბაძე მოგვიყვება თსუ სტუდენტების მიერ გამოცემული ჟურნალის ისტორიას, რომელსაც როგორც თსუ, ისე სხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც, დიდი ინტერესით ეცნობიან.

გვ. 3

## სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულების უნივერსიტეტთაშორისი ქსელი შეიქმნა



გვ. 2

## „ლიგა თსუ“ – ტურნირი სტუდენტური ფეხბურთის მოყვარულთათვის

სტუდენტური გუნდებისგან შემდგარი „ყველა ვარსკვლავის“ გუნდების მატჩი კიდევ ერთი საინტერესო შეჯიბრი იყო, რომელიც „ლიგა თსუ“-ს ფარგლებში გაიმართა. დღეს ჩვენ ამ გუნდების მონაწილეების ნაწილს გაგაცნობთ.

გვ. 4

# თსუ – პერსონალის მეორე საერთაშორისო კვირეულის მასპინძელი

მაისის ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში პერსონალის მეორე საერთაშორისო კვირეულს უმასპინძლა. მასში ევროპის 10 ქვეყნის 20 უნივერსიტეტის 32 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. საქართველოდან კვირეულში მონაწილეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლების საერთაშორისო ცენტრის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, „ერაზმუს+“ საქართველოს ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები იღებდნენ. ღონისძიება იუნესკოს ეგიდით და თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის კოორდინირებით გაიმართა. მისი მიზანი ევროკომისიის მიერ დაფინასებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის ფარგლებში სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდა და კონტაქტების გაღრმავება გახლდათ.

სტუმრებმა ღონისძიების მნიშვნელობაზე საკუთარი მოსაზრებები გაგვიზიარეს:

***ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ვიცე-დეკანი სელინ ბლონდი***: „წარმოვადგენ საერათაშორისო ურთიერთობათა და კომპანიებთან ურთიერთობის განყოფილებას. ჩვენს უნივერსიტეტს საფრანგეთის საინჟინრო სკოლებთან თანამშრომლობის მძლავრი კვლევითი ტრადიცია აქვს. ძალიან ვისიამოვნე სტაფის გაცვლის ამ პროგრამით, რადგან შესაძლებლობა მქონდა უკეთ გავცნობოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ჩვენ თსუ-სთან ურთიერთობა მანამდეც გვქონდა, ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის ფარგლებში ჩვენ გვყავს ძალიან კარგი სტუდენტები თქვენგან, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი ყველა მოდულს. ვფიქრობ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შესაძლებლობა მექნება თსუ უფრო მეტად წარმოვაჩინო. მიმაჩნია, რომ ამ დროისთვის გარკვეული დისბალანსი არსებობს აქედან წასული და აქ ჩამოსული სტუდენტების რაოდენობის კუთხით, ვფიქრობ ჩვენი ურთიერთობის გასამყარებლად უკეთესი იქნება, თუ უფრო მეტ სტუდენტს გამოვაგზავნით ჩვენგან. აქ ყოფნის პერიოდში ვესაუბრე მათემატიკის მიმართულების ერთ-ერთ პროფესორს, ვაპირებთ დავიწყოთ მუშაობა ერთობლივ პროგრამაზე, რომელიც დაკავშირებული იქნება დიდ მონაცემთა ბაზასთან, კიბერ უსაფრთხოებასა და ხელოვნურ ინტელექტის საკითხებთან. ჯერ დანამდვილებით არ შემიძლია იმის თქმა საბაკალავრო პროგრამა იქნება ეს, თუ სამაგისტრო. დიდი მადლობა თსუ-ს ყველაფრის ძალიან კარგად ორგანიზებისთვის“.

***კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის საერთშორისო ოფისის დირექტორი კრისტინ ბუდინი***: „30 წელზე მეტია, რაც უნივერსიტეტში ამ პოზიციაზე ვმუშაობ. თსუ-ში ეს პირველი საერთაშორისო კვირეულია, თუმცა მანამდე აქ ოთხჯერ ვარ ნამყოფი. ვკითხულობდი ლექციებს, ჩავატარე მულტიკულტურული ტრენინგი, ვიმყოფებოდი ჩემს თანამშრომლებთან ერთად. საერთოდ, მსგავსი კვირეულები იმისთვისაა, რომ შეიტყო მეტი უნივერსიტეტის და ქალაქის შესახებ, გაიცნო შენი კოლეგები სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებიდან, რომლებსაც შენი მსგავსი პოზიცია უკავიათ. ამ კვირის განმავლობაში ვნახე, თუ როგორ პროფესიულად შეიძლება მომზადდეს სტაფის გაცვლის კვირეული. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო იმის დანახვა, თუ რამდენი ადამიანი იყო ჩართული მასში სხვადასხვა სტრუქტურებიდან, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. თქვენთან 2015 წლიდან ვთანამშრომლობით, ვიღებთ სტუდენტებს ბიზნესის და მედიის საბაკალავრო პროგრამაზე. ვფიქრობ, ჩვენს უნივერსიტეტში თსუ ლექტორების მოწვევაა საჭირო, რათა მათი მეშვეობით ჩვენმა სტუდენტებმა მეტი შეიტყონ თქვენი ქვეყნის, ეკონომიკის და სხვადასხვა საკითხების შესახებ“.

***ვენეციის კა’ფოსკარის უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის კოორდინატორი საპრანცა ფრეზია***: „ეს საქართველოში და თსუ-ში ჩემი პირველი ვიზიტია. „ერაზმუს+“-ის საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის ფარგლებში ჩვენს სტუდნტებს საშუალება აქვთ ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში უსასყიდლოდ ისწავლონ თქვენს უნივერსიტეტში სხვადასხვა საფეხურის პროგრამებზე. იგივე შესაძლებლობა აქვთ თქვენს სტუდენტებს ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის მხრივ. ბუნებრივია, რომ მაინტერესებდა, თუ რა გარემოში მოუწევს ჩვენს სტუდენტს სწავლა აქ. ახლა, როდესაც დავბრუნდები, შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად ვურჩევ მათ ისარგებლონ ამ შესაძლებლობით და აქ სასწავლებლად ჩამოვიდნენ“.

# უნივერსიტეტელები „ერაზმუს+“-ის პროგრამებში

***პირველი გვერდიდან***

განსაკუთრებულად საინტერესო იყო. გამოყენებითი ეთიკის კათედრის ხელმძღვანელთან პროფესორ ემანუელ სოჩაცუსთან რამდენიმე საქმიანი შეხვედრის შედეგად დაისახა ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის დიზანი. „ერაზმუს+“-ის პროგრამაში ჩემი მონაწილეობა ნაყოფიერი გამოდგა ასევე ჩემი კვლევითი ინტერესის სხვა მიმართულებით. წმ.ანთიმოზ ივერიელის შემოქმედებისა და ცხოვრების ახალი კვლევების გაცნობის მიზნით, ვეწვიე ანთიმის სამონასტრო კომპლექსს. ანთიმის თემაზე მომუშავე პროფესორ იოანა ფედოროვასგან მივიღე წინადადება ერთობლივი სამეცნიერო კვლევის ჩატარების თაობაზე“, – აღნიშნავს ანასტასია ზაქარიაძე.

მისი მივლინების ფარგლებში 10 მაისს ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე შედგა თსუ გამომცემლობაში დაბეჭდილი კრებულის – „საქართველო და ევროპული სამყარო-ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი“ მეორე ტომის პრეზენტაცია. კრებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტისა და ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიური და თეოლოგიური სამეცნიერო ცენტრის მიერ მომზადდა. ბუქარესტში თსუ ფილოსოფოსთა პირველი ვიზიტიდან ხუთი წლის შემდეგ, ერთობლივი ძალებით ჩატარდა ორი საერთაშორისო კონფერენცია, გამოიცა კრებული, ქართველი პროფესორების პუბლიკაციები დაიბეჭდა ბუქარესტის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში, ხოლო ბიუნ-ის პროფესორებისა – თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ყოველწლიურ ჟურნალში.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი და დეკანის აპარატის უფროსი დემეტრე ეგნატაშვილი, „ერაზმუს პლუსის“ პროგრამის ფარგლებში კვლევის მიზნით 2016 წლის მაის-აგვისტოში იმყოფებოდა ლა-კორუნიას უნივერსიტეტში (გალისია, ესპანეთი) და ოქტომბერ-დეკემბერში – ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში (თიურინგია, გერმანია). სასწავლად კი 2017 წლის სექტემბერში ანგელ კანჩევის სახელობის რუსეს უნივერსიტეტში (ბულგარეთი) იყო ჩასული.

„ორივე ხასიათის მივლინება, როგორც კვლევის, ისე სწავლების დანიშნულებით, ძალზე საინტერესო იყო. მიუხედავად იმისა, რომ იურისპრუდენციის დარგში კვლევის შესაძლებლობის ეროვნული ხარისხი ნამდვილად ყოველდღიურად უმჯობესდება, საერთაშორისო გამოცდილება ძალიან სასარგებლოა როგორც კვლევისთვის, ისე – სწავლებისთვის. მაგალითად, სამართლებრივი სისტემის თვალსაზრისით, ბულგარეთი რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების ტიპური წარმომადგენელია და ამ მხრივ, მას საქართველოსთან ბევრი საერთო მოეძებნება, რაც ამგვარ აკადემიურ თანამშრომლობას კიდევ უფრო ნაყოფიერს ხდის“, – ასე აფასებს თავის მივლინებების მნიშვნელობას დემეტრე ეგნატაშვილი.

ეგნატაშვილის სალექციო თემა სამოქალაქო სამართლის ქართულ კოდიფიკაციას შეეხებოდა. დისკუსიის საგანი იყო სამართლებრივი სისტემებისა და უმაღლესი იურიდიული განათლების მოდელების შედარება საქართველოსა და ბულგარეთში. გარდა სტუდენტებისა, გაიმართა შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან, რამაც ახალი კავშირების დამყარებას შეუწყო ხელი.

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ფირცხალავა საზღვარგარეთ (აშშ-ში ესტონეთში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში) არაერთხელ იმყოფებოდა სხვადასხვა სტიპენდიებით.

„2015-2016 წელს ერასმუს მუნდუსის (ELECTRA) პოსტ-დოკ პროგრამის ფარგლებში 6 თვე მინიუს უნივერსიტეტში ქ. ბრაგაში ყოფნისას ჩავატარე კვლევა „ქართველი მიგრანტების ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესი ჩრდილოეთ პორტუგალიაში“. 2018 წლის მარტში ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 1 კვირით ვიმყოფებოდი პორტოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც ჩავატარე ლექციები კროსკულტურულ ფსიქოლოგიაში. 2018 წლის აპრილში, იგივე პროგრამით, ვსტუმრობდი ტარტუს უნივერსიტეტის ფსიქოლოგის ფაკულტეტს, სადაც ასევე ჩავატარე ლექციები გავლენების ფსიქოლოგიასა და კროსკულტურულ ფსიქოლოგიაში. ორივე უნივერსიტეტი დაინტერესებული იყო ჩემი კვლევებით მიგრაციის საკითხზე, (მიგრანტი ქართველების იდენტობის შენარჩუნების სტრატეგიები პორტუგალისა და საფრანგეთში). ლექციის თეორიულ ნაწილთან ერთად საინტერესო იყო კვლევითი კომპონენტიც“, – აცხადებს ეკატერინე ფირცხალავა. როგორც იგი აღნიშნავს, ერასმუსის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტები რამდენიმე მიზეზის გამო იყო წარმატებული: პირველ რიგში პროფესიული კონტაქტების და ფაკულტეტებს შორის კავშირების დამყარების კუთხით, შემდგომში კი – ინგლისური ენის პრაქტიკისა და ადამიანების საქართველოთი დაინტერესების თვალსაზრისით.




# SMART ლაბორატორიები თსუ-ში

***პირველი გვერდიდან***

ლაბორატორიული სამუშაოები და გვაცნობენ იმ თემატიკას, რაზეც მიმდინარეობს კვლევები იულიხში (დეტექტორების მეთოდებს, მონაცემთა ანალიზის კომპიუტერული პროგრამირებით შესწავლას), სხვადასხვა დანადგარის მუშაობის პრინციპს და ასე შემდეგ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, სემინარებს გვიტარებენ იქ მომუშავე (ექსპერიმენტზე) ადამიანები მათი ფართო გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს ჩვენი ცოდნის გაღრმავებაზე. (ლექციები მიმდინარეობს ელემენტარული ნაწილაკების დეტექტირებაზე და მათი თვისებების შესწავლაზე).

ფუნდამენტური ექსპერიმენტით დაინტერესებული სტუდენტებისთვის ეს ლაბორატორია და მეცადინეობები საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ვსწავლობდი კომაროვში, ფიზიკით ჩემი დაინტერესება სწორედ ამ სკოლიდან წამოვიდა, მეგობრებმა და ახლობლებმა მეცნიერებაზე სწავლის გაგრძელება სწორედ რომ თსუ-ში მირჩიეს, რის შემდეგაც გადავწყვიტე თსუ-ს ფიზიკაზე ჩამებარებინა.

ვისაც ფიზიკა და ექსპერიმენტალური ფიზიკა აინტერესებს, მათთვის თსუში სწავლა არის გამოცდილ მეცნიერებთან ურთიერთობის საუკეთესო გზა. ჩვენთან სწავლა საშუალებას იძლევა გაიღრმავო და ცოდნა და მიიღო გამოცდილება ამა თუ იმ ფიზიკის სფეროში. მოხარული ვიქნებით, თუ ამ მხრივ კიდევ განვითარდება და გაიზრდება დაფინანსება ლაბორატორიებზე“, – ამბობს ვანო ზურაბაშვილი.

ატმოსფერული კვლევების საერთაშორისო სტანდარტების SMART AtmoSim ლაბორატორია სპეციალიზებულია ატმოსფეროს კვლევებზე, რომელიც მოიცავს ატმოსფეროს ქიმიურ ანალიზს, ასევე შედეგების მათემატიკურ დამუშავებას და ატმოსფეროს მდგომარეობის მათემატიკური მოდელის შექმნას.

ლაბორატორიაში მუშაობენ სამივე საფეხურის სტუდენტები, რომლებიც უშუალოდ ჩართულები არიან ჰაერის ნიმუშების აღებაში, ანალიზსა და მათემატიკური სიმულაციების შედგენაში. ჰაერის ხარისხის შეფასების გარდა, ტარდება ატმოსფეროს დეტალური ანალიზი და მოდელირება, ასევე მუშავდება ანალიზის ახალი მეთოდები და ტექნიკა, მათ შორის, ატმოსფეროს ანალიზისთვის დრონების შექმნა.

AtmoSim ლაბორატორია არის IEK-8 (იულიხის ლაბორატორიის) შესაბამისი ანალოგი, სადაც შესაძლებელია ატმოსფეროს ისეთი დამაბინძურებლების განსაზღვრა, როგორებიცაა აზოტის ოქსიდები, ნახშირორჟანგი, ნახშირჟანგი, მეთანი და სხვა აქროლადი ნახშირწყალბადები, ოზონი და მიკრონაწილაკების შემცველობა.

### *თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და კლინიკა „პინეოს“ შორის*



12 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „პინეო სამედიცინო ეკოსისტემას“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და კლინიკა „პინეო სამედიცინო ეკოსისტემის“ გენერალურმა დირექტორმა იაგორ კალანდაძემ მოაწერეს.

„სტუდენტები გაივლიან უაღრესად საინტერესო და საჭირო პრაქტიკებს „პინეოში“. ამავე დროს, ჩვენი უნივერსიტეტის დიდი ხნის ამოცანაა სწავლების გადაყვანა პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებაზე - სტუდენტები მომავალ პროფესიას დაეუფლებიან სტუდენტობის პერიოდში, პროფესიონალების გვერდით მუშაობისას. ეს ხელს შეუწყობს მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, მემორანდუმი საშუალებას აძლევს ჩვენ აკადემიურ პერსონალს ითანამშრომლოს კლინიკასთან“, – განაცხადა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

კლინიკა „პინეოს“ ხელმძღვანელის იაგორ კალანდაძის თქმით, თანამშრომლობა თსუ სტუდენტებსა და ჰოსპიტალის პერსონალს შორის ხელს შეუწყობს ცოდნის განახლებასა და დარგის განვითარებას. მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, დიმიტრი კორძაიას თქმით, კლინიკებთან ურთიერთობა და კლინიკების სექტორის განვითარება უნივერსიტეტში აუცილებელი პირობაა სამედიცინო განათლების ხარისხისთვის. ხელშეკრულების საფუძველზე კლინიკა უზრუნველყოფს თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების და რეზიდენტების მიერ სასწავლ-პრაქტიკული კურსების გავლას. აღნიშნული კურსის გავლისას კლინიკა უზრუნველყოფს მის მმართველობაში არსებული სამედიცინო აღჭურვილობის, ადამიანური და სხვა აუცილებელი რესურსების მონაწილეობას.

# გზავნილი მომავალი ჟურნალისტებისგან...

***პირველი გვერდიდან***

7-ზე უკან წამოვედით – მთელი მასალა ერთ დღეში მოვაგროვეთ: ჩავწერეთ რესპონდენტები, ვიყავით სიღნაღის მერიაში მისულები და ვესაუბრეთ მოსახლეობის პრობლემებსა და მომავალში დაგეგმილ პროექტებზე.

ერთი სიტყვით, შევეცადეთ არასრულ ერთ დღეში სიღნაღელთა გზავნილი თბილისში ჩამოგვეტანა. ხოლო მეორე ჟურნალი იქნება „გზავნილი ბორჯომიდან“, რომელიც იბეჭდება კიდეც და მის პრეზენტაციაზე დიდი სიამოვნებით ვუმასპინძლებთ ნებისმიერ მსურველს. თანაც, ბორჯომზე სამუშაოდ ოთხი დღე გვქონდა, ამიტომ მეტია ჩვენი პასუხისმგებლობაც და საინტერესო თემების რაოდენობაც.

რაც შეეხება თემებს, როგორ წესი, სტუდენტები თავად იძიებენ. წასვლამდე მოეწყო ნიუსრუმი, განვიხილეთ საჭირო თემები, წინასწარ მოძიებული საინტერესო ადამიანები. თუმცა, ჩასულებს ორჯერ მეტი თემა დაგვხვდა – თბილისიდან გაცილებით რთულია მასალის პოვნა, იქ ყოველ ნაბიჯზე ახალი საკითხი წამოიჭრა.

ჩვენსავით მუშაობს კიდევ ორი ჯგუფი – ორი რედაქცია, რომლებიც ასევე აკეთებენ ჟურნალებს. „გზავნილი ქარიანი ქალაქიდან“ და „გზავნილი დუშეთიდან“ – ჩვენი კურსელების ჟურნალებია და ვიცით, რომ ისინიც ჩვენ მსგავსად მუშაობდნენ. მათ ჟურნალებშიც რედაქციული საქმიანობა სტუდენტებისა იყო. ერთი სიტყვით, მესამე კურსი ძალიან დატვირთული, მაგრამ გამოცდილების დიდი წყარო აღმოჩნდა ჩვენთვის, ყველასთვის.

უცხო გარემოში მუშაობა, ადაპტაციისთვის დროის გარეშე, რა თქმა უნდა, რთული იყო. მთელ დღეს ერთმანეთს ვურეკავდით, მუდმივად ვეკონტაქტებოდით ლექტორს, რომელიც ხან რომელ ჯგუფთან იყო სოფელში სამუშაოდ გასული, ხან რომელთან. „ეს რესპონდენტი სახლში არ დაგვხვდა და ვისთან მივიდეთ?“, „ფოტოების გადაღების უფლებას არ გვაძლევენ და რა ვქნათ?“, „მგონი არასწორი მისამართი გვაქვს“ – ახლა ამ ფრაზებს ყველანი სიცილით ვიხსენებთ, მაგრამ მუშაობის პროცესში ნამდვილად არ იყო კომიკური.

ძალიან საინტერესოა, პირველ რიგში, ცოცხალ ჟურნალისტიკასთან ასეთი დოზით შეხება – აქამდე გვიწევდა მუშაობა, მაგრამ არა როგორ რედაქციას და ერთ დიდ ოჯახს, ახლა კი რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში ვმუშაობთ. დიდ ჟურნალზე, „გზავნილი ბორჯომიდან“ მუშაობისას ყოველ დილით გავდიოდით მასალის მოსაგროვებლად, მაგრამ იმდენად ვიცოდით ერთმანეთის თემები, თითქმის ყველაფერზე ერთად ვმუშაობდით – მეგობრისთვის ფოტოს ვიღებდით, მეორე მეგობრისთვის კომენტარს ვწერდით და ა.შ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამას არავინ აკეთებს მხოლოდ იმისთვის, რომ საგანში ქულა დაეწეროს – ლექტორი გვეუბნებოდა კიდეც, ისეთი ჩათრევა იცის, თქვენ თვითონ დაიწყებთ „გზავნილებით“ ცხოვრებასო და მართალიცაა – ჩვენი ჟურნალები ძალიან მნიშვნელოვანია რედაქციის თითოეული წევრისთვის“.

ჟურნალ-გაზეთებზე მუშაობის გარდა სტუდენტები აწყობენ შეხვედრებს მწერლებთან, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ადამიანებთან და ამ შეხვედრებზე მოპოვებული ინფორმაციით წერენ პორტრეტებს, რეცენზიებს, ბლოგებს.

„პრაქტიკაზე ამდენი საუბრის შემდეგ არალოგიკური იქნება იმის თქმა, რომ ამ მხრივ ცოდნას არ გვაძლევენ, მაგრამ ერთი რამ შეიძლება შეიცვალოს – პირველი და მეორე კურსები გახდეს უფრო პრაქტიკული – პირველ კურსზე, მაგალითად, არც ერთ ისეთ საგანს არ ვსწავლობდით, წმინდად ჟურნალისტური ცოდნა რომ მოეცა. როგორც ვიცი, მიმართულების ხელმძღვანელები მუშაობენ ამ საკითხზე – პირველივე კურსიდან სტუდენტთა მეტ ჩართულობაზე პრაქტიკულ საქმიანობაში. რაც შეეხება მულტიმედია ცენტრს – მეორე კურსიდან „ახალი ამბები 1-სა“ და „ახალი ამბები 2-ის“ სწავლისას შექმნილ პროდუქტს გვიქვეყნებდნენ, წელს კი რამდენიმე პრაქტიკული საგნის გავლისას უფრო მეტი მასალა ქვეყნდება.

პირველი ჟურნალების გამოქვეყნებისთანავე მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი მარიკა სალუქვაძე თინათინს და მის კურსელებს დაუკავშირდა. „დაგვიკავშირდა და გვთხოვა მასალის გაგზავნა. ძალიან გვიხარია, რომ, ერთი მხრივ, ჩვენს პროდუქტს ასე აქტიურად ადევნებენ თვალს და, ამავდროულად, მხოლოდ ბეჭდური მედიით არ შემოვიფარგლებით – ერთ თემაზე მულტიმედიურად ვმუშაობთ“, – ამბობს თინათინი.

„არ უსმინოთ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ „ჩვენგან მხოლოდ სახელია დარჩენილი“ – საუკუნოვანი უნივერსიტეტისგან ბევრად მეტს მიიღებენ, ვიდრე უბრალოდ ლურჯ ან წითელ დიპლომს. არც იმ ადამიანებს უსმინონ, ვინც ჩვენს მიმართულებას ალმაცერად უყურებს – ვინმე ასეთი სკეპტიკოსისთვის რომ დამეჯერებინა, ახლა აქ არ ვიქნებოდი და ასეთი სიამაყით არ ვილაპარაკებდი იმ პროდუქტზე, რასაც მხოლოდ ერთი საგნის ფარგლებში ვაკეთებთ. რეალურად, ჩვენ უკვე ვმუშაობთ რადიო-გადაცემებზე, ტელესიუჟეტებზე, ონლაინპროდუქტზე – თანაც აქ გვასწავლიან ლექტორები, რომლებიც საკუთარი საქმის პროფესიონალები არიან“, – ამბობს იგი.

# „დირსის გაფხულის ქალაქი" თსუ სტუდენტებისგან – „მისია 2018"-ის გამარჯვებული ცნობილია

***პირველი გვერდიდან***



VEON საქართველოს პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი, კონკურსის „მისია" 2011 წლის გამარჯვებული თეიმურაზ ბაბუციძე და თბილისის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე.

გამარჯვებულები საკუთარი იდეისა და პროექტის მიმდინარეობის შესახებ გვიყვებიან.

***მარიამ წერეთელი***, სამართლის ფაკულტეტი, მესამე კურსი:

კონკურსის შესახებ შემთხვევით შევიტყვე. „დედლაინამდე" 2 დღე იყო დარჩენილი, ვიცოდი რომ მსგავსი ტიპის კონკურსები ტარდებოდა ჩვენს უნივერსიტეტში, მაგრამ, რატომღაც მეგონა მხოლოდ პიართან და მარკეტინგთან ახლოს მყოფი ფაკულტეტების ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. როცა გავიგე, რომ ყველა ფაკულტეტის წარმომადგენელს შეეძლო მონაწილეობის მიღება გამიხარდა და მაშინვე გუნდის დაკომპლექტება დავიწყე.

იმის მიუხედავად, რომ სამართალზე ვსწავლობ, სხვა მოდულებსაც ვეცნობი ხოლმე. ბოლო წლებში ხშირად მქონდა შეხება მარკეტინგთან და პიართან. ადრეც კონკურსების საშუალებით ვზრუნავდი კომპანიის განვითარების სტატეგიული გემის შექმნაზე. წინა წელს მონაწილეობას ვიღებდი კონკურსში სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად. ამ კონკურში მისიის მსგავსი დავალება გვქონდა მოცემული. ერთი კონკრეტული საწარმოსათვის უნდა დაგვეწერა პროექტი და შემდეგ განგვეხორციელებინა. წინა კონკურსში მცირედი სხვაობით (1 ქულით) წავაგეთ კონკურენტებთან. ვგრძნობდი რომ თავი ვერ ამოვწურე და უფრო მასშტაბური რამ მჭირდებოდა.

წინა წლების გამოცდილებიდან ვიცოდი, რომ გუნდში ერთფეროვნება არ მაწყობდა. არც ჩემი პროფესიის წარმომადგენლებისგან მინდოდა გუნდის შექმნა ჩემს ყველა ნაცნობს დაკავებული გრაფიკი ქონდა, კონკურსი კი გუნდს საჭიროებდა. ამიტომ, გამოვაქვეყნე განცხადება სოციალურ ქსელში და რამდენიმე გამოხმაურებიდან არჩევანი ორ ბიჭზე შევაჩერე. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხედვები ერთმანეთს ემთხვეოდა გამოცდილებასთან ერთად წარმატებას ვეძებდით, რამაც გუნდად შეგვკრა.

კონკურსის პირველ ეტაპზე თსუ-ს ვირტუალური ტურის პროექტი დავწერეთ. ყველაფერი ერთ ღამეში შეიქმნა, პროექტის სათაურიც კი („საუკუნე ერთ დღეში, რომელიც მორგებული იყო უნივერსიტეტის წარსულისა და აწმყოს შერწყმაზე) სწრაფად მოვიფიქრეთ და ძალიან გავიხარდა, როცა ფინალისტებში რიგში აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ მეორე ტურში საკმაოდ რთული დავალება გველოდა წინ.

მეორე ეტაპზე დაგვევალა კომპანია „დირსის" საზაფხულო ქალაქად გადაქცევა, რამაც ჩემი მოლოდინი გაამართლა, დავალება საკმაოდ მასშტაბური იდეების შექმნას გულისხმობდა, რის გამოც მინდოდა პროექტში მონაწილეობა.

ბუნებრივია, პროექტი სირთულეებსაც მოიცავდა. ჩვენი იდეები ერთდროულად კრეატიულიც უნდა ყოფილიყო და მომგებიანიც, ამავდროულად მარტივად განხორციელებადიც, შესაბამისად, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის დადება უნდა განგვეზრახა. იდეის დასამუშავებლად ერთი თვე მოგვეცა, ამ პერიოდში ბევრჯერ შევცვალეთ ჩვენი იდეა.

კონკურსის პერიოდში ეტაპობრივად ტრენინგები იმართებოდა, რაც იდეის დახვეწაში გვიწყობდა ხელს.

„დირსი" ქალაქიდან შორს მდებარეობს და კონკურურენტებთან შედარებით, მის უპირატესობა ეკოლოგიურად სუფთა გარემოა, სწორედ ამ კუთხით მივუდექით ჩვენს პროექტსაც და გადავწყვიტეთ მაქსიმალურად აგვეთვისებინა „დირსის" ბულვარი, ველო თუ სარბენი ბილიკები და წამოვიწყეთ კამპანია #გამო-ჯანსაღდი, რომლის ფარგლებშიც დირსის მოსახლეობასა და სტუმრებს დირსის სივრცეში სპორტული აქტივობებით დაკავების შესაძლებლობა მიეცემოდათ.

ასევე აქცენტი გავაკეთეთ სიმწვანეზე და ამ თემატიკასაც შევეხეთ, როგორც ქალაქის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან დეტალს. შევქმენით სამი განსხვავებული ტიპის და გემოვნების ფესტივალი, რომელიც საბოლოოდ, „დირსის" სლოგანს „გარემო შენი სახლისთვის" მიესადაგებოდა.

რადგან პროექტი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და დატვირთული ოყო ტრენინგებით, ბუნებრივია რთულია ყველაზე დასამახსოვრებლი დღის გამოკვეთა, თუმცა რადგან გამარჯვებული გუნდის წევრი ვარ ყველაზე მეტად ფინალი დამამახსოვდა. ჟიურის შეფასებებს დიდი ინტერესით ვუსმენდი და ვფიქრობდი, ჩვენთვის, რა ტიპის კითხვებს მოამზადებდნენ, ვცდილობდი ჩემი და ჩემი გუნდის წევრების გამოსვლა მათ კითხვებს მორგებოდა და ყველაფერი სიღმისეულად გადმოგვეცა. როდესაც, ჩვენი პრეზენტაცია დასრულდა, ჟიურიმ არაფერი გვკითხა, რამაც დაგვაბნია, ბოლოს კი საოცარი ემოციები მივიღე, როცა გამარჯვებულად ჩვენ დაგვასახელეს.

ფინალზე ბევრი განსხვავებული ტიპის იდეა იყო წარმოდგენილი, რამაც უფრო კრიტიკულად განმაწყო ჩემი იდეების მიმართ. კონკურსანტებს ინსტალაციებისა და სენსორული ჰოლოგრამების შოუს მოწყობა უნდოდათ, რამაც აღმაფრთოვანა. იყო ისეთი იდეები, რაც თავში არ მომსვლია. საერთო ჯამში, კონკურსანტები რეალურ კონკურენციას გვიწევდნენ, რაც ჩემთვის მისასალმებელია".

***იოსებ ტაბიძე***, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მესამე კურსი:

ფინალი იყო საოცრება, რადგან იმდენად დიდი ემოციური მუხტი იგრძნობოდა დარბაზში, უბრალო დამსწრე სტუმრებიც კი განსაკუთრებულად ღელავდნენ და ქომაგობდნენ თავიანთ რჩეულ გუნდებს. ყველა გუნდი კარგად იყო მომზადებული და კონკურენციაც უაღრესად დიდი იყო, რაც ორმაგად გვანერვიულებდა. ჩვენი გამოსვლის შემდეგ ყველაფერი თითქოს თავის ადგილს დაუბრუნდა. არასდროს დამავიწყდება ის წამი როდესაც გამარჯვებულ გუნდად ჩვენ დაგვასახელეს.

პროექტში მონაწილეობა მივიღე იმ მიზნით, რომ გამომეცადა საკუთარი შესაძლებლობები მარკეტინგულ სფეროში, მიმეღო გარკვეული გამოცდილება. ასევე მინდოდა პირადად გავცნობოდი, თუ როგორ იქმნება სერიოზული და საპასუხისმგებლო პროექტები.

ჩვენი საბოლოო პროექტი ეფუძნებოდა, სიღრმისეულ კვლევას და ამის საფუძველზე მივიღეთ შემდგომი გადაწყვეტილება, რომ საჭირო იყო საქართველოში ახალი ტენდენციების დანერგვა და განვითარება. ამიტომაც გადავწყვიტეთ პროგრამა ყოფილიყო ყველა ტიპისა და ასაკის ადამიანზე მორგებული. დაიგეგმა აქტივობები როგორებიცაა („Ice cream challenge", ყვავილებისა და ნაციონალური ტკბილეულის ფესტივალი და სხვა).

პროექტის წარმატებაც სწორედ კარგად დაგეგმილმა და გააზრებულმა აქტივობებმა განაპირობა, რომლებიც ყველაზე რეალური და ამასთანავე ყველაზე საინტერესო იყო.

***გიორგი ბარბაქაძე***, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მესამე კურსი:

პროექტში მონაწილეობა ჩვენი ჯგუფის დიდი სურვილი იყო გვინდოდა საკუთარი შესაძლებლობები შეგვემოწმებინა, რამდენად გავუმკლავდებოდით დავალებას მარკეტინგსა და პიარში, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ეს ჩვენი ფაკულტეტისგან საკმაოდაა დაშორებული. სურვილს განსაკუთრებით აძლიერებდა და გვხიბლავდა აღნიშნული მისიის მეორე ეტაპი, „დირსის" დავალება, რომელიც ჩვენთვის თავდაპირველად უცნობი იყო.

„მისია" საკმაოდ რთული გახლდათ მოცემული დროის გათვალისწინებით, „დირსის" დავალების შესრულებაზე ერთი თვე იყო გამოყოფილი ამ დროის განმავლობაში, თსუ და „დირსი" გვიტარებდა ტრენინგებს, რომლებიც ეხებოდა გუნდურად მუშაობას, დაბრკოლებების ერთობლივად გადალახვის, იდეების გადასინჯვის და სხვა მნიშვნელოვანი თემების შესახებ, რაც დავალების შესრულებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო. „მისია მთელი თავისი შინაარსით ძალზედ საინტერესო აღმოჩნდა გარდა იმისა რომ თსუ-ს სხვა ფაკულტეტებიდან გავიცანით სტუდენტები, ასევე შეხება გვქონდა თსუ-ს და „დირსის" პერსონალთანაც, ამან საკმაოდ თბილი და მეგობრული გარემო შექმნა.

პროექტის მიმდინარეობისას ვიკრიბებოდით თსუ-ს ბიბლიოთეკაში და იქ ვაანალიზებდით ჩვენს იდეებს, ვწერდით გეგმას და ვაძლევდით პრეზენტაციას საბოლოო სახეს.

პროექტი თავისი არსით გამოწვევა იყო ყოველი ჩვენგანისთვის. რეალურად ეს იყო კავშირი სრულიად უცხო სფეროსთან, რომელიც საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. მოგვცა მეტი ნდობა ერთმანეთის მიმართ, შეგვკრა როგორც ჯგუფი.

„მისიამ" ბევრი რამ დამანახა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შემძინა ჯგუფთან ერთად მუშაობის გამოცდილება, საკუთარი იდეების პროექტის დონეზე გაცხრილვისა და ჩამოყალიბების უნარი. მიფიქრია, დავუკავშირებდი თუ არა სამომავლო გეგმებს მარკეტინგს, ვფიქრობ რომ ეს საკმაოდ საინტერესო სფეროა, სიახლეებით სავსე. ჩემთვის საინტერესო იქნებოდა ამ სფეროში მოღვაწეობა", – ამბობს გიორგი.

თსუ-ს სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან. კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა. კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ გახდნენ კომპანიის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები, დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები, გაიმარჯვონ კონკურსში, მოიპოვონ ფულადი პრემია და განახორციელონ თავიანთი იდეები.

სტუდენტურ კონკურსში 2018 წელს მონაწილეობა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 56-მა გუნდმა მიიღო, შემოსული პროექტებიდან შიდაშესარჩევმა ჟიურიმ 5 საუკეთესო გამოავლინა. ფინალური დავალების შესრულების პროცესში კონკურსანტებისთვის უნივერსიტეტისა და კომპანიის წარმომადგენლებმა სპეციალური ტრენინგები და სემინარები ჩაატარეს.

კონკურსი წელს მეექვსედ ჩატარდა. გასულ წლებში კონკურსის პარტნიორი კომპანიები იყვნენ: „IDS ბორჯომი საქართველო", „გეოსელი", „ნატახტარი", „სანტე" და „თიბისი ბანკი".

# სტუდენტური ჟურნალი თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე – ავტორები 2 წლის შედეგებს აჯამებენ

***პირველი გვერდიდან***

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ერთ-ერთი ცნობილი უნივერსიტეტია, რომელმაც, წლების მანძილზე, მრავალ გამოჩენილ და წარმატებულ ადამიანს მისცა განათლება. უნივერსიტეტში ყოველთვის იყო და დღესაც არის უამრავი ეფექტიანი მეთოდი სტუდენტების აკადემიური განვითარებისათვის. სწორედ, აღნიშნული მეთოდების განვითარებისათვის კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო სტუდენტური ჟურნალის დაფუძნება.

„ლიტერატურის ნაკლებობა და ცალკეულ თემატიკაზე ინფორმაციის ვაკუუმი ჟურნალის შექმნის აუცილებლობის კიდევ ერთ საფუძველს წარმოადგენდა. ხშირად იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც სტუდენტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, მოემზადებინათ სახელმძღვანელოდან შესაბამისი სალექციო თემა. სამართლის ჟურნალი კი, მათ საშუალებას აძლევს, გაეცნონ თანაკურსელებისა, თუ უფროსკურსელების სტატიებს. დროთა განმავლობაში, ჟურნალის ფუნქციონირებით დაგროვდა გარკვეული რაოდენობის ლიტერატურა, რომელიც სტუდენტთა მომავალ თაობებს გაუადვილებს რომელიმე კონკრეტული კურსის გავლას. გარდა ამისა, ეს ჟურნალი არის მათთვის შესანიშნავი შესაძლებლობა, აკადემიური წერის უნარ-ჩვევის განვითარებისა და პრაქტიკულად გამოყენებისათვის. სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაიბადა ჟურნალის დაფუძნების იდეა.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალის კონცეფციას მხარს უჭერს ჟურნალ „ჰარვარდის სამართლის მიმოხილვის" ამჟამინდელი პრეზიდენტი, ჯონათან გულდი, რომელმაც დაარსების წლიდან გამოთქვამს ჟურნალთან თანამშრომლობის მზადყოფნას.

დღეისთვის, მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური ჟურნალი, რომელიც მორგებულია სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებზე და ამგვარი გამოცემის არსებობა მათ მიერ კვლევის წარმართვის ხელშემწყობ გარემოებას წარმოადგენს. მსგავსი ტიპის სამართლის ჟურნალები სტუდენტების მიერ არის შექმნილი, რაც უნივერსიტეტების განათლების დონის უფრო ამაღლებასა და სტუდენტისათვის მეტი სტიმულის მიცემას ემსახურება, რადგან, აღნიშნული ჟურნალები თვით სტუდენტებსაც თავიანთი საუნივერსიტეტო ცხოვრების ბევრ საკითხში ეხმარება. ამასთან, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებმა, ამდენი ხნის მანძილზე თავიანთი სამართლის ჟურნალების გამოცემით, გარკვეული სტანდარტებიც კი შექმნეს მსგავსი პუბლიკაციებისათვის.

ხშირ შემთხვევაში, რთულ სამეცნიერო ენაზე დაწერილი ნაშრომები, რომლებიც არ არის გათვლილი დამწყები სტუდენტებისათვის, ხდება ის ერთადერთი წყარო, საიდანაც სტუდენტი ცდილობს ამა თუ იმ საკითხზე გარკვევას. მოცემული ჟურნალის გამოცემა პირდაპირპროპორციულად აისახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის რეპუტაციაზე და კიდევ უფრო ამაღლებს მის პრესტიჟს, ვინაიდან, გარდა კვალიფიციური პროფესორებისა და კარგად ორგანიზებული ადმინისტრაციისა, აბიტურიენტებს მიიზიდავს, ასევე, ის ფაქტიც, რომ მათ აქვთ საშუალება, უნივერსიტეტში, ბაკალავრიატის საფეხურიდანვე, დაიწყონ აკადემიური საქმიანობა და დააგროვონ დიდი გამოცდილება ამ სფეროში, რომელიც, მომავალში, მათი არაერთი წარმატების საწინდარი შეიძლება გახდეს.

გარდა ამისა, ჟურნალი არის ქართული სამართლის კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობა, რომელშიც არა მხოლოდ პროფესორები, ან კვალიფიციური იურისტები, არამედ, ჯერ კიდევ სწავლის პროცესში მყოფი, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის, სტუდენტები იღებენ მონაწილეობას. გარდა ამისა, ჟურნალი ხელს შეუწყობს სტუდენტებში საკუთარი აზრისა და ახალი იდეების ჩამოყალიბებას, რაც სამართლის ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების გზების ძიებისკენ არის მიმართული,"- ამბობს მარიკა.

მარიკას თქმით, ჟურნალის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაა. ისინი სიღრმისეულად სწავლობენ სამართლის ამა თუ იმ დარგში არსებულ მიდგომებს და გამოთქვამენ საკუთარი შეხედულებები რიგ საკითხებზე.

„სტუდენტური ჟურნალი ქმნის მეტად კონკურენტუნარიან გარემოს სტუდენტებს შორის, მათ შესაძლებლობების შეუზღუდავ ფარგლებს, რადგან, ნებისმიერ მონდომებულ, აქტიურ, მიზანდასახულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ჟურნალის საშუალებით გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. გაიზარდა სტუდენტთა მოტივაცია სტიპენდიების კონკურსში მონაწილეობის მიღების კუთხით.

სტატიების შერჩევა – ჟურნალის ყოველ მორიგ გამოცემამდე, არანაკლებ 1 თვის ვადაში ხდება, უნდა იქნეს წარდგენილი სტატიები, რომლებიც შესაბამისი კონკურსის გავლის შედეგად შეირჩევა და შემდგომ, საბოლოო კონსოლიდირებული და რედაქტირებული სახით, დაიბეჭდება ჟურნალში. სტატიების წარმოდგენა შეუძლიათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე. ასევე, შესაძლებელია, დამატებით მოთხოვნად განისაზღვროს რეკომენდატორის, ან მეცნიერ- ხელმძღვანელი, რომელიც სტატიის წარმომდგენ პირს უნდა ჰყავდეს.*

რაც შეეხება მომავალ გეგმებს, სექტემბერში გამოიცემა „კერძო სამართლის მიმოხილვის" მე-2 ნომერი, რომლის თემაც იქნება, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასა და ქართული კერძო სამართლის გამოწვევები. ვფიქრობ, მსგავსი ტიპის სამართლის ჟურნალის შექმნა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია უნივერსიტეტის განვითარებისა და სტუდენტების ხელშეწყობისთვის. ჟურნალის არსებობა ხელს შეუწყობს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას სტუდენტურ-მეცნიერულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მისცემს მათ შანსს, გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, მათი შემდგომი რეალიზების მიზნით. პარალელურად, გაძლიერდება მასალა სხვადასხვა თემატიკის ირგვლივ, რაც, გარკვეულწილად, ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით არსებული ინფორმაციული ვაკუუმის აღმოფხვრის წინა პირობაც იქნება", – ამბობს მარიკა დუმბაძე.



### საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შეიქმნა

თსუ-ში საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შეიქმნა. დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი 15 წევრიანი ორგანო თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით შეიქმნა და მისი მთავარი მიზანი თსუ-ში დისერტაციების ხარისხის ამაღლებაა. სადისერტაციო საბჭო უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარდგინებით მიღებულ დისერტაციებს განიხილავს და შემდგომ მსვლელობას აძლევს. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო 2 წლის ვადით ირჩევა.

14 ივნისს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც საბჭოს თავმჯდომარედ თსუ ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი აირჩიეს. მისი თქმით, სადისერტაციო საბჭო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას შეუწყობს ხელს. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობას ხარისხი არასდროს აკლდა, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ სტანდარტები კიდევ უფრო გაძლიერდეს. საბჭოს უფლებამოსილებაში შედის დისერტაციების გაცნობაც, რამდენად შეესაბამება ისინი სტანდარტებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პლაგიატის შემთხვევებს და სხვა დარღვევებს“, - განაცხადა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ. პირველ სხდომაზე სადისერტაციო საბჭომ ახალ რეგულაციებსა და წესებზე იმსჯელა, ასევე დაამტკიცა დაცვის კომისიების შემადგენლობა.

### ქართული ენა 1, ქართული ენის პრაქტიკული კურსი უცხოელთათვის“ - პრეზენტაცია გაიმართა

თსუ-ში პროფესორ რამაზ ქურდაძის წიგნის - „ქართული ენა 1. ქართული ენის პრაქტიკული კურსი უცხოელთათვის“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი განკუთვნილია ქართული ენის უცხოელ შემსწავლელთათვის, ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის. წიგნში წარმოდგენილია 15 გაკვეთილი: ქართული ანბანი ი.გოგებაშვილის პრინციპების მიხედვით და 65 სავარჯიშო. წიგნი თსუ გამომცემლობის მიერ გამოიცა.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნანა გაფრინდაშვილის თქმით, პროფესორ რამაზ ქურდაძის გამოცდილება ქართული ენის სწავლის მსურველებს ძალიან დაეხმარებათ: „მნიშვნელოვანი გამოცემაა. პროფესორ რამაზ ქურდაძის განცხადებით, წიგნში წარმოდგენილი სავარჯიშოები იმ სალექციო კურსის ნაწილია, რომელსაც თსუ პროფესორები ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებში კითხულობდნენ. მისივე თქმით, მომავალში იგეგმება ახალი წიგნის „ქართული ენა 2“-ის გამოცემა, რომელიც უკვე აპრობირებულია ლაიდენისა და ბრემენის უნივერსიტეტებში

## სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულების უნივერსიტეტთაშორისი ქსელი შეიქმნა

7-9 ივნისს სოფიაში (ბულგარეთი), სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის იუნესკოს რეგიონული ცენტრის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მისი მიზანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით უნივერსიტეტთაშორისი ქსელის შექმნა გახლდათ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ბულგარეთის, უკრაინის, კვიპროსის, მაკედონიის, ბოსნია-ჰერცოგოვინის, საბერძნეთის, ხორვატიის, მოლდოვის, ალბანეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის იუნესკოს რეგიონული ცენტრის წარმომადგენლები. საქართველოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამავე უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი წარმოადგენდა. შეხვედრიდან ქეთი ხუციშვილი სასიამოვნო სიახლით დაბრუნდა.

„შეხვედრის ბოლოს დაფუძნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით უნივერსიტეტთაშორისი ქსელი. ერთი წლის ვადით იქნა არჩეული ქსელის სამუშაო კომიტეტი ბულგარეთის, საბერძნეთის და საქართველო წარმომადგენელთა შემადგენლობით. ადგილზე, სამუშაო შეხვედრისას ამირჩიეს ამ საუნივერსიტეტო ქსელის სამუშაო კომიტეტის წევრად. კომიტეტს თავმჯდომარე არ ჰყავს, სამივე წევრი თანაბარუფლებიანია. უახლოეს რამდენიმე კვირაში კომიტეტი ჩამოაყალიბებს დროში გაწერილ სამუშაო გეგმას და გაააქტიურებს ქსელის მუშაობას. ყოველივე მიზნად ისახავს არამატრიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობისადმი ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში. დაიგეგმება და განხორციელდება ერთობლივი, მათ შორის საველე ხასიათის კვლევები. კვლევების შედეგები დაიბეჭდება სამეცნიერო და პოპულარული ფორმატის ჟურნალებსა და ბუკლეტებში; ასევე იგეგმება სპეციალისტების მოწვევა სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და ამ სფეროში დასაქმებული კვლევითი ცენტრებიდან გამოცდილების გასაზიარებლად, ამ მიმართულებით კვლევის მეთოდოლოგიისა და მიდგომების გაზიარება-განვითარება, საუნივერსიტეტო სივრცეში საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება, საკითხთა ინტერნაციონალიზაცია და მთელი რიგი პროექტების ინიცირება,“ – ამბობს ქეთი ხუციშვილი.

შეხვედრაზე გაკეთდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში იუნესკოს რეგიონული ცენტრის პრეზენტაცია, გაიმართა დისკუსია საგანმანათლებლო სივრცეში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სწავლების მდგომარეობის და მეთოდების შესახებ. დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა უნივერსიტეტთაშორისი ქსელის მიზნები და სამოქმედო გეგმა. ქსელის მიზანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისადმი მკვლევართა ინტერესის ამაღლება, ამ მიმართულებით კვლევებში და სოციალურ პროექტებში სტუდენტთა ჩართვა. სამოქმედო გეგმა დროში გაწერილია და უკვე აგვისტოსთვის უნდა დაიდოს. მისი მიზანია ასევე აკადემიური გაცვლის გასაიოლებლად ქსელში ჩართული უნივერსიტეტების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საუნივერსიტეტო პროგრამების სინქრონიზაციის შესაძლებლობების გაწერაა. დაგეგმილია ასევ ყველა დაინტერესებული მხარისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სპეციალური ინტერნეტ პლატფორმის შექმნა.

## „ლიგა თსუ“ – ტურნირი სტუდენტური ფეხბურთის მოყვარულთათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფეხბურთის ჩემპიონატი „ლიგა თსუ“ უკვე რამდენიმე სეზონია ტარდება. შეჯიბრების ორგანიზატორია სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტი და მასში თსუ 7-ივე ფაკულტეტის 60-მდე სტუდენტია ჩართული, როგორც მოთამაშე. გულშემატკივართა რიცხვი კი, როგორც ზოგადად ფეხბურთის მოყვარულთა რიცხვი, გაცილებით დიდია. ტურნირი 3 თვის მანძილზე მიმდინარეობს. თითოეული ფაკულტეტიდან შეჯიბრებაში ერთი ან რამდენიმე გუნდი მონაწილეობს, რომელთაც საკუთარი მენეჯერები ყავთ. 31 მაისს სტუდენტური მინი ფეხბურთის ტურნირის „ლიგა თსუ-ს“ გამარჯვებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გუნდი გახდა. ფინალში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გუნდი დაამარცხეს. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელს გუგა ნერგაძეს „ლიგა თსუ“-ს სპონსორმა კომპანიამ „Hot Travel“ გადასცა ორკაციანი საგზური საბერძნეთში.

სტუდენტური გუნდებისგან შემდგარი „ყველა ვარსკვლავის“ გუნდების მატჩი კიდევ ერთი საინტერესო შეჯიბრი იყო, რომელიც „ლიგა თსუ“-ს ფარგლებში გაიმართა. დღეს ჩვენ ამ გუნდების მონაწილეების ნაწილს გაგაცნობთ:



***გუგა ნერგაძე*** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია. ის Liga TSU 3-ის ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ამბობს, რომ ფეხბურთთან შეხება აქტიურად აქვს ბავშვობიდან და ზრუნავს მის განვითარებაზე.

„ვმუშაობ საფეხბურთო კლუბ „საბურთალოში“ და ჩემი ერთ-ერთი მიზანია აღვზარდო კარგი ფეხბურთელები. მინდა აღვნიშნო, რომ სტუდნეტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ორგნიზებით ჩატარებული ტურნირი „ლიგა თსუ“ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის“, – ამბობს გუგა, რომელიც ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი უკვე მეორედ გახდა.



***გიორგი კაკიაშვილი*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტია. ის 20 წლისაა და ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტისთვის პრიორიტეტს სწავლა უნდა წარმოადგენდეს, სხვადასხვა აქტივობები, იქნება ეს სპორტული, შემეცნებითი თუ სხვა, გაცილებით საინტერესოს ხდის სტუდენტურ ცხოვრებას, ამ ყველაფრის კარგი მაგალითია „ლიგა თსუ“. ფეხბურთის ჩემპიონატი „თსუ ლიგა“ ძალიან მაღალი ხარისხისაა და სხვადასხვა ფაკულტეტებს შორის ავლენს უძლიერესს.

„პირადად ჩემმა გუნდმა გასულ სეზონში, სამწუხაროდ საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა, თუმცა ამის მიუხედავად, გავხდი ბომბარდირი 40 გატანილი გოლით. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთით აქამდეც ვიყავი გატაცებული, მაგრამ სწავლის და პროფესიონალური ფეხბურთის შეთავსება ვერ მოვახერხე, ამიტომ „ლიგა თსუ“ არის საუკეთესო საშუალება სწავლასთან ერთად აკეთო საყვარელი საქმე. „ლიგა თსუ“ არის ურთიერთობა!“ – ამბობს გიორგი.



***მიხეილ ვარძიელი*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ( მიმართულება მათემატიკა) სტუდენტია, 23 წლის. ფეხბურთი მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია.

„მთელი ცხოვრების განმავლობაში ფეხბურთელი ვიყავი, თუმცა უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ თავი დავანებე პროფესიონალურ ფეხბურთს. ამის შემდეგ გავიგე თსუ-ში მიმდინარე სტუდენტური აქტივობების, სხვადასხვა სპორტული ტურნირების, პროექტების შესახებ, რომელსაც თსუ-ს სტუდენტური თვითმართველობა ატარებდა და მეც ჩავერთე მათში. უპირველესი ამ აქტივობებს შორის არის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი , „ლიგა თსუ“. მე-7 სეზონი ჩავატარე ამ ტურნირზე ჩემს გუნდთან, დელ მართან, ერთად, რომლის კაპიტანიც გახლავართ და ორჯერ ჩემპიონი გავხდით და ერთხელ მეორე ადილი დავიკავეთ. „ლიგა თსუ“ ყოველ სეზონზე იზრდება და ვითარდება და, ჩემი აზრით, მსგავს მინი ფეხბურთის ტურნირებს შორის, საქართველოს მასშტაბით, საუკეთესოა!!! „ლიგა თსუ“-ს ყველაზე დიდი პლიუსი კი ისაა, რომ მისი საშუალებით უამრავი თანაუნივერსიტეტელი გავიცანი და მათთან ვმეგობრობ კიდეც“, – გვეუბნება მიხეილი.



***თორნიკე ნანეიშვილი*** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მესამე კურსის სტუდენტია, 21 წლისაა და ფეხბურთი ბავშვობიდან განსაკუთრებულად უყვარს.

„ბავშვობიდან აქტიურად ვთამაშობ და გარკვეული ხანი პროფესინალურ დონეზეც ვთამაშობდი, სტუდენტობის პერიოდშიც ვცდილობ არ დავივიწყო ის საქმე, რომელიც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. თსუ-ში ჩაბარების შემდეგ აქტიურად დავინტერესდი საფეხბურთო ტურნირით, სპორტის დეპარტამენტი ყოველწლიურად გვთავაზობს საკმაოდ კარგ ტურნირს „ლიგა თსუ“-ს, რომელიც სეზონიდან სეზონამდე ვითარდება. რა თქმა უნდა მეტის მოლოდინი გვაქვს ამ მხრივ. სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი კომუნიკაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომლითაც უამრავი საინტერესო და ახლო ურთიერთობა შეიძლება ჩამოყალიბდეს. „ლიგა თსუ“-ზე ყველას საკუთარი გუნდისა და ფაკულტეტის წარმატება სურს, თუმცა მთავარი ფეხბურთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და სიყვარულია, რომელიც უკლებლივ ყველა მონაწილეს აერთიანებს“, – ამბობს თორნიკე.



***სანდრო წულაია*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია. 21 წლისაა და ფეხბურთის ყურება და თამაში ერთნაირად იტაცებს.

„უნივერსიტეტში ჩაბარების პირველივე სემესტრიდან ვიღებდი მონაწილეობას სტუდენტური თვითმართველობის მიერ ჩატარებულ არაერთ ტურნირში. რაც შეეხება პრიზებს – ერთხელ მაქვს ფეხბურთის ტურნირი მოგებული, ერთხელ მეორეზე გავედი, კიდევ იყო წვრილ-წვრილი გამარჯვებები სხვადასხვა ტურნირებზე. ძალიან მიხარია, რომ სწავლის გარდა ასეთ სპორტულ აქტივობებში შეუძლია სტუდენტს ჩართვა, როგორიცაა „ლიგა თსუ". ტურნირი მე-3 სემესტრია რაც არსებობს და ყოველი მომდევნო სემესტრი წინაზე უკეთესია, როგორც მოთამაშე გუნდების ხარისხით, ასევე ორგანიზების საკითხებით და დარწმუნებული ვარ შემდეგი სემესტრებიც ანალოგიური იქნება“, – აღნიშნავს სანდრო.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სკოლის სტუდენტი ***ირაკლი სიამაშვილი*** 22 წლისაა, სხვებივით უყვარს ზოგადად სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი.

„მიყვარს სხვადასხვა სპორტის სახეობების როგორც თამაში, ასევე ყურება. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩატარებულ ფეხბურთის ტურნირზე, გასულ და მიმდინარე სემესტრში მივიღე მონაწილეობა, ტურნირი იყო საოცრად მაღალ დონეზე ორგანიზებული, უნივერსიტეტში ეს ტურნირი „ლიგა თსუ“-ს სახელით არის ცნობილი, სადაც მონაწილეობის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს.ასეთი ხარისხიანი მინი ფეხბურთის ტურნირი თბილისის მასშტაბით, ჩემი აზრით, არ იმართება. ფეხბურთის გარდა სხვა არაერთ სპორტის სახეობაში ტარდება ტურნირები, რაც ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას უწყობს ხელს,“ – ამბობს ირაკლი და თვითმმართველობის წევრ სტუდენტებს მადლობას უხდის ამისათვის.



***ტატო ტეფნაძე*** 20 წლისაა და თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობს. ფეხბურთს 6 წლიდან უყურებს, საყვარელი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანია, რომელმაც, მისი თქმით, თავისი გენიალურობა სამწვრთნელო კარიერაშიც დაამტკიცა. საყვარელი გუნდი კი მადრიდის რეალია, ყველაზე ტიტულოვანი და ყველაზე ბუმბერაზი გუნდი ფეხბურთის ისტორიაში.

„მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება არ მქონია, ფეხბურთის დიდმა სიყვარულმა გადამაწყვეტინა, რომ მონაწილეობა მიმეღო „ლიგა თსუ“-ზე და ვთვლი, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მართებული გადაწყვეტილება აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. ამ ჩემპიონატმა კიდევ უფრო გამიძლიერა ფეხბურთის სიყვარული და მომცა საშუალება გამეცნო ბევრი კარგი ადამიანი და შემეძინა მეგობრები. არ შემიძლია, არ გამოვყო საორგანიზაციო ჯგუფის მიერ გაწეული უდიდესი სამუშაო. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ორგანიზატორებს, მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს. ჩვენით იქმნება ლიგა თსუ!“, – გვეუბნება ტატო.



***ალექსანდრე გიუნაშვილი***, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია.

„ტურნირში მონაწილეობა ჩემთვის ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო. ფეხბურთის თამაში დავიწყე 6 წლიდან, საფეხბურთო კლუბ „ირაოში“, და უკვე პირველ ვარჯიშზე მისული ჩამაყენეს კარში. ამის შემდეგ დღემდე ვარ მეკარე. მითამაშია უამრავ სხვადასხვა დონის ტურნირზე, სხვადასხვა გუნდის რიგებში. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ გადავწყვიტე ფეხბურთზე ბოლომდე უარი არ მეთქვა და დავიწყე უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდში თამაში, თუმცა 2 წლის თამაშის შემდეგ, დროის ნაკლებობის გამო, დავანებე თავი. „ლიგა თსუ“-მ მომცა საშუალება კვლავ შემეგრძნო ის ადრენალინი, რომელსაც ბავშვობაში ვიღებდი ფეხბურთის თამაშით, რადგან ვატყობდი ენთუზიაზმს ამ ტურნირის მიმართ ფეხბურთელების, ორგანიზატორების და ზოგადად მთლიანი უნივერსიტეტის მხრიდან. ჩვენი გუნდი დებიუტანტი იყო ამ ტურნირზე, რადგან უმრავლესობა ფეხბურთელებისა იყო პირველ ან მეორე კურსელი, თუმცა მაინც მოვახერხეთ ფინალში გასვლა და მაყურებელს დავამახსოვრდით სანახაობრივი და უხვგოლიანი თამაშით. მე მხვდა პატივი უამრავ ძალიან ძლიერ მეკარეს შორის გავმხდარიყავი საუკეთესო აღნიშნულ ტურნირზე და 2-ჯერ ზედიზედ გავმხდარიყავი ტურის მვპ, თუმცა ფინალში სამწუხაროდ დავმარცხდით ანგარიშით 1-0. მიუხედავად ამ მარცხისა, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც აღნიშნული ტურნირის ჩატარებაში თავისი წვლილი შეიტანა და მომავალშიც წარმატება ვუსურვო. სამწუხაროდ მე ვეღარ მოვახერხებ ამ ტურნირზე თამაშს (რადგან ვამთავრებ უნივერსიტეტს), თუმცა დავრჩები მის ერთგულ მაყურებლად. „ლიგა თსუ“ ურთიერთობაა“, – ამბობს ალექსანდრე.

ტურნირი მომავალშიც გაგრძელდება და ახალგაზრდებს, რომელთაც ფეხბურთის თამაში და ყურება, ჩვენი დღევანდელი რესპონდენტებივით ძლიერ უყვართ, კიდევ არაერთხელ მისცემს საკუთარი ნიჭის და სიყვარულის გამოვლენის შესაძლებლობას.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge